„ინტერკულტურული ცნობიერების განვითარება დაწყებით კლასებში: მულტიმედიური სასწავლო რესურსების გამოყენებით“

ანი ჩხეტია, ნინო სამხარაძე, სოფო ვარსიმაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (I-VI კლასები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მალაზონია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024-2025

განაცხადი:

„წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის შესაბამისად.”

ანი ჩხეტია

ნინო სამხარაძე

სოფო ვარსიმაშვილი

23.06.2025

აბსტრაქტი:

თანამედროვე სამყაროში არსებული გლობალიზაციის მზარდი პროცესისა და დემოკრატიული საზოგადოების განვითარების პირობებში, საქართველოს სკოლებში აქტუალობას იძენს ინტერკულტურული განათლება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ღია და ემპათიურ დამოკიდებულებათა ჩამოყალიბებას განსხვავებული კულტურის წარმომადგენლების მიმართ. სწორედ ამის გამო ინტერკულტურული კომპეტენცია საჭირებს დაწყებით საფეხურზე მეთოდურად გააზრებული ინტერვენციების შემუშავებას. კვლევის მიზანს წარმოადგენს მულტიმედიური სასწავლო რესურსების ეფექტიანობის გამოკვლევა მეხუთე კლასის მოსწავლეებში, ინტერკულტურული ცნობიერების განვითარების კუთხით.

გააანალიზებულია თემის გარშემო საინტერესო და მნიშვნელოვანი წყაროები. მოგროვებული ცოდნის საფუძველზე შექმნილი ინტერვენციების ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე საგაკვეთილო აქტივობა ერთი სკოლის ერთ კონკრეტულ მეხუთე კლასში. ინტერვენციები მოიცავდა ვიზუალურ, ინტერაქციულ და ტექსტურ მასალაზე დაფუძნებულ გაკვეთილებს. მონაცემები შეგროვდა მოსწავლეებთან ჩატარებული პრე- და პოსტ-ტესტის საშუალებით, ასევე ფოკუსჯგუფისა და მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუებით მოხდა პროგრესის მონიტორინგი და დასკვნების გამოტანა ზემოთაღნიშნულის ანალიზზე დაყრდნობით.

კვლევამ აჩვენა, რომ მულტიმედიური რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეებში მნიშვნელოვანი კომპეტენციების გაძლიერებას, ინტერკულტურული განათლების თვალსაზრისით - ღირებულებითი, ემოციური და შემეცნებითი უნარები. აღსანიშნავია, მოსწავლეების დადებითი დამოკიდებულება და ჩართულობა ინტერვენციებში. მიუხედავად ინტერვენციების ხანგრძლივობის შეზღუდვისა, კვლევა აჩვენებს ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარების პოტენციალს მულტიმედიური

რესურსების გამოყენებით და ასახავს რეკომენდაციებს მოცემულ თემასთან დაკავშირებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოსწავლე, ინტერკულტურული განათლება, მულტიმედიური, ინტერვენცია.

Abstract

In the conditions of the growing process of globalization in the modern world and the development of a democratic society, intercultural education is gaining relevance in Georgian schools, which contributes to the formation of open and empathetic attitudes of students towards representatives of different cultures. This is why intercultural competence requires the development of methodically thought-out interventions at the primary level. The purpose of the study is to investigate the effectiveness of multimedia learning resources in fifth-grade students in terms of the development of intercultural awareness.

Interesting and important sources on the topic are analyzed. Within the framework of the interventions created on the basis of the accumulated knowledge, several lesson activities were carried out in one specific fifth grade of one school. The interventions included lessons based on visual, interactive and textual material. Data were collected through pre- and post-tests with students, as well as focus group and teacher interviews to monitor progress and draw conclusions based on the analysis of the above.

The study showed that multimedia resources contribute to the strengthening of important competencies in students, in terms of intercultural education - value, emotional and cognitive

skills. It is worth noting the positive attitude and involvement of students in the interventions. Despite the limitation of the duration of the interventions, the study shows the potential for the development of intercultural competence through the use of multimedia resources and provides recommendations on this topic.

Key words: Student, intercultural education, multimedia, intervention.

მადლობა

მადლობას ვუხდით ქალაქ თბილისის კერძო სკოლა ,,თანამედროვე განათლების აკადემიის'' დირექტორს, ბატონ დავით მალაზონიას, მხარდაჭერისა და აქტიური თანამშრომლობისათვის. ასევე, მადლობას ვუხდით ამავე სკოლის 5ა კლასის დამრიგებელსა და ,,ჩვენი საქართველოს'' მასწავლებლებს, კვლევის განმავლობაში აქტიური ჩართულობისა და გაწეული დახმარებისათვის.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ, ბატონ დავით მალაზონიას, რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე გვაძლევდა რეკომენდაციებს და გვეხმარებოდა კვლევის თითოეული ეტაპის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაში.